

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გამართულ ბევრ ტრენინგს დასწრებია „სტეფანწმინდა“. თუმცა, შედეგების მიხედვით ალბათ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ შედეგზე ორიენტირებული პროექტის მართვის პროგრამას გამოვყოფდი. ჩატარებულმა ექვსი მოდულმა ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლებს ის უნარები და ცოდნა შეგვძინა, რომლებიც აუცილებელია პროექტების ეფექტიანად მართვისათვის.

პროგრამა წარმატებული გამოდგა ჩვენი ორგანიზაციისთვის, რადგან ჩვენ უკვე პრაქტიკულად ვიყენებთ იმ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებაც ტრენინგებზე საფუძვლიანად ვისწავლეთ. თუ აქამდე პროექტების წერისას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ვაკეთებდით ინდიკატორების ცხრილს და ლოგიკური ჩარჩოს, ახლა მათ ყველა საპროექტო წინადადების მომზადებისას ვიყენებთ, და ვფიქრობ, ხარისხიანად. შედეგიც ნათელია - ორი დაფინანსებული პროექტი. გვჯერა, რომ ამაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ სი-ეს-აის პროგრამამ ითამაშა.

მინდა ავღნიშნო ისიც, რომ პროგრამის უშუალო მონაწილეებმა მიღებული ცოდნა ორგანიზაციის სხვა წევრებსაც გავუზიარეთ, რაც მოდულების ეფექტიანობას ერთი ორად ზრდის.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო პირადი კონსულტაციები, რომლებიც სი-ეს-აის წარმომადგენლებმა ადგილზე, ორგანიზაციაში გაგვიწიეს.

მიგვაჩნია, რომ ის ცვლილება, რაც პროგრამაში მონაწილეობის შედეგად ჩვენმა ორგანიზაციამ განიცადა, შესამჩნევია ჩვენი ბენეფიციარებისთვისაც, რადგან იგი პირდაპირ აისახება ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტების ხარისხზე. შედეგად, ჩვენი ორგანიზაცია ახლა მეტად ორიენტირებულია ბენეფიციარზე და პროექტების განხორციელებისას კონკრეტული შედეგების მიღებაზე.

იმედია გვაქვს, რომ აღნიშნული პროგრამა დაგვეხმარება პროექტების უკეთესად მართვაში და შედეგად გაიზრდება როგორც დონორების ინტერესი, ისე ბენეფიციარების კმაყოფილებაც.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ შევეცდებით მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენოთ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც შედეგზე ორიენტირებული პროექტის მართვის პროგრამიდან თითოეულმა მისმა მონაწილემ მივიღეთ.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სტეფანწმინდა“